

&nbsp;

"მე სომხები ძალიან მიყვარს და ეს არასდროს დამიმალავს".
ეს 15 ოქტომბერს საქართველოს პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა სომხების კომპაქტურად დასახლებულ ახალქალაქში მმართველი პარტია "ქართული ოცნების" პრეზიდენტობის კანდიდატის, გიორგი მარგველაშვილის წარდგენისას განაცხადა.
"დღეს ძალიან მიხარია, რომ თქვენთან ერთად ვარ და ჩვენს მხარდამჭერებს მინდა მადლობა გადავუხადო. ვხედავ, რომ თქვენ ახალი პრეზიდენტის მოსვლას ელოდებით და ახალი პრეზიდენტი აუცილებლად გიორგი მარგველაშვილი იქნება. ჩვენ ნამდვილად ძმები ვართ, თქვენ ჩვენსავით საქართველოს მოქალაქეები ხართ, ეს თქვენი სამშობლოა. საქართველოს პრობლემები აქვს. ჩვენ ტერიტორიები დავკარგეთ, პრობლემები სომხეთშიც არსებობს და მე ვიმედოვნებ, რომ ჩვენ ერთობლივად მოვაგვარებთ მათ", - განაცხადა ივანიშვილმა.

{youtube}r1LQSQaRs8c{/youtube}